ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4105858

ნომერი: AR1609279

თარიღი : 18.06.2018

გაცემის თარიღი : 06.08.2018

გაცნობის თარიღი : 08.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაკარიძე პ/ნ 21001001693
- თერჯოლა 4 ძმის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, პეკინის გამზ. №5–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. 031/003) სამსახურის მიერ 17.04.2018 წ. №3916079 გადაწყვეტილებით შეთანხმებული არსებულ ფართის ფასადზე, სარეკლამო (სავალუტო) მონიტორების მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების, კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს მშენებლობის ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018664138 საკადასტრო კოდი N 01.10.13.031.003, არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, კორექტირებული ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, პეკინის გამზ. №5–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. 031/003) სამსახურის მიერ 17.04.2018 წ. №3916079 გადაწყვეტილებით შეთანხმებული არსებულ ფართის ფასადზე, სარეკლამო (სავალუტო) მონიტორების მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების, კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას.

• სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.